სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 307

ქ. თბილისი ,, 30" ნოემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ **სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ნინო თოფურიძის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ჩემპიონი"** (შემდგომში "მიმწოდებელი), მისი დირექტორის **მაია ყურაშვილი** სახით, საქართველოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 3-ე მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტისა "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე - 2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის გიორგი კუპატაძის 2018 წლის 27 ნოემბრის N 15/02-3079 მოხს. ბარათის თანახმად, წარმოადგენს სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო კალათბურთის ტურნირისთვის "*სპორტული ფეხსაცმელი"- ს (CPV 18820000) შესყიდვა.*

№	დასახელება	რაოდ (ცალი)	ფასი	ჯამი
1	სპორტული ფეხსაცმელი	10	100.00	1000.00
	ჯ ა მ ი :			1000.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს: *1000 (ათასი) ლარს.*

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება *ამავე უნივერსიტეტის 2018 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახსრების ფარგლებში.*

4. *ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება*

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61.

6. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

6.1. *შემსყიდველი უფლებამოსილია:*

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

6.2. *შემსყიდველი ვალდებულია:*

- უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. *ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი*

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გიორგი კუპატაძე.

7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. *პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის*

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. *დაუძლეველი ძალა*

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

9.2. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. *ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. *დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. *სხვა პირობები*

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, 2 (ორი) ეგზ შემსყიდველთან და 1(ერთი)ეგზ მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შ.პ.ს. „ჩემპიონი“
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61	ქ. თბილისი, ცაბაძის N3.
ს/კ 205224700	ს/კ 405200367
მ/ბ _ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს „თი ბი სი"
ბ / კ TRESGE22	ბ/კ TBCBGE22
მიმღების ანგარიში/ხაზინო კოდი _7 0904 7004	ანგ.№ GE15TB7867436080100007
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
ნინო თოფურიძე	შოთა ყურაშვილი

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი ,,30" ,,ნოემბერი" 2018 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „სახელმწფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე - 2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე, ამავე უნივერსიტეტის 2018 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2018 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული #307 ხელშეკრულებით "***სპორტული ფეხსაცმელი"- ს (CPV 18820000),*** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ***შპს „ჩემპიონი" -ს*** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის პირობებსა და წესებს და ამ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ნინო თოფურიძე**

ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე
პასუხისმგებელი პირი:
სასწავლო-სამეცნიერო პროცესის მატ./ფინ.
უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი _____ ვ. ანთია

ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე
პასუხისმგებელი პირი:
მთავარი ეკონომისტი _____ ნ. მიქაძე
შერჩევა, კონტროლსა და ზედამხედველობაზე

პასუხისმგებელი პირ(ებ)ი:

სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ
საქმეთა სამსახურის უფროსი _____ გ. კუპატაძე

მატ. რესურსების მართვის სამსახურის _____ გ. ჯინჯიხაძე
მთავარი სპეციალისტი

ხელშეკრულება მოამზადა: _____ თ. მერკვილიშვილი
შესყიდვების კოორდინატორი